კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:

ქალაქი თბილისი, ვარკეთილის III მასივში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო შენობა კონსტრუქციულად 32 სართულიანია, ერთი მიწისქვეშა სართულით. საპროექტო გადაწყვეტებით შენობის საძირკვლებად მიღებულია კლდოვან ქანებზე დაფუძნებული ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, რომლებიც დაანკერებული არიან 1,4 მ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიან საძირკვლის ფილაში (ე.წ. დაბალი როსტვერკი). ხიმინჯების და საძირკვლის ფილის მოსაწყობად ქვაბულის ძირის ექსკავაცია უნდა განხორციელდეს აბსოლუტურ ნიშნულამდე 439,8. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებიდან გამომდინარე, აღნიშნულ სიღრმეზე მეტწილად განლაგებულია სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლების მქონე ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით.

საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება გზა, რომლის გადაღმა განლაგებულია გასულ საუკუნეში აშენებული 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით – ე.წ. ხრუშოვკა. შენობის მზიდი ანაკრები პანე;ოვანი კედლები დაფუძნებულია ლენტური ტიპის საძირკვლებზე. მათი ძირის აბსოლუტური ნიშნული მოიძიება 443.0 +- 0.5 მეტრის ფარგლებში. მანძილი საპროექტო შენობამდე – 12.0 მეტრი.

საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.19.20.025.016, რომელზეც ასევე განლაგებულია იგივე ტიპის 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით (ხრუშოვკა), რომლის ძირის აბსოლუტური ნიშნული მოიძიება 441.0 +- 0.5 მეტრის ფარგლებში. მინიმალური მანძილი საპროექტო შენობამდე – 11.0 მეტრი.

საპროექტო შენობის მშენებლობის დასრულების შემდეგ დაგეგმილია ზემოაღნიშნული ამორტიზებული შენობების (ხრუშოვკები) დემონტაჟი.

საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება ახალი აშენებული 11 სართულიანი კორპუსი პარკინგი-სარდაფით, რომელიც განლაგებულია ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.20.025.056. შენობის მზიდი

კონსტრუქციები კარკასულ-ჩარჩოვანია, მიწაში ჩაღრმავებული მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი საძირკვლის ფილით, ძირის აბსოლუტური ნიშნულით - 439,7. მინიმალური დაშორება საპროექტო შენობამდე შეადგენს 13.0 მეტრს.

სამივე ზემოთ ჩამოთვლილი შენობის მიმართ სრულად არის დაცული სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები. ნორმების ეს პუნქტი ასახავს მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგავლენის პარამეტრებს.

საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთს დასავლეთიდან ესაზღვრება ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც განლაგებულია ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.20.025.057. შენობის ქვის წყობის მზიდი კედლები დაფუძნებულია ლენტური ტიპის საძირკვლებზე, რომლის ძირის აბსოლუტური ნიშნული ფიქსირდება 444.0 +- 0.2 მეტრის ფარგლებში. მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან – 6.0 მეტრი.

საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთს ასევე დასავლეთიდან ესაზღვრება მცირე გაბარიტების ერთსართულიანი ნაგებობა - ელექტროქსელის (თელასი) სატრანსფორმატორო, რომელიც განლაგებულია ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.20.025.018. შენობის მზიდი ანაკრები კედლები დაფუძნებულია ლენტური ტიპის საძირკვლებზე, რომლის ძირის აბსოლუტური ნიშნული ფიქსირდება 444.0 +- 0.2 მეტრის ფარგლებში. საპროექტო შენობის საძირკვლის ფილასთან ის განლაგებულია ახლოს – მინიმალური დაშორება 2.3 მეტრი.

დასავლეთიდან მომიჯნავე ამ ორი ერთსართულიანი შენობის მიმართ პროექტში გათვალისწინებულია ქვაბულის გამაგრება 20 სმ დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდით.

დასკვნა:

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომიჯნავე ტერიტორიებზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მდგრადობა და უსაფრთხოება ეჭვს არ იწვევს, როგორც მშენებლობის წარმოებისას, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტმდ,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია
თბილისი 01-05-2025